საკრებულოს ეკონომიკური განვითარების,
საინვესტიციო პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების
კომისიის გაერთიანებული სხდომის

ოქმი #12

15 ივნისი 12.00 საათი ქ.თბილისი, თავისუფლების მოედანი #2

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

ი.ჯიშკარიანი, ჯ.ჯიშკარიანი,
მ.ამაშუკელი, ა.ხუჯაძე, ქ.ჯოხაძე,
ფ. ინჯია, ლ.დარახველიძე

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო-საბიუჯეტო, სარევიზიო, ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის, სატრანსპორტო საკითხთა, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიების წევრები.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი გაიოზ თალაკვაძე.

სხდომას თავმჯდომარეობდა: კომისიის თავმჯდომარე ო.გრიგოლია

სხდომის თავმჯდომარე ო.გრიგოლია მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

კომისიის წევრთა მიერ მოწონებული იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი

სხდომის დღის წესრიგი:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის შესახებ

მოისმინეს:

საფინანსო საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელის გაიოზ თალაკვაძის განცხადებით, საქმე ეხება საქართველოს მთავრობის განკარგულებას, ცენტრალური ბიუჯეტიდან თბილისისთვის 10 მილიონი ლარის გამოყოფის თაობაზე, რომელიც რეგიონალური განვითარების ფონდიდან დედაქალაქის 2018 წლის ბიუჯეტში გზების რეაბილიტაციის სამუშაოების დასაფინანსებლად აისახება. წარმოდგენილი პროექტით ბიუჯეტის მოცულობა იზრდება და შეადგენს 906 863,6 ლარს.

ასევე, წარმოდგენილ პროექტში გათვალისწინებულია თბილისის მერიის სტრუქტურული ერთეულების და რაიონის გამგეობების მიერ განხორციელებული ტენდერების შედეგად წარმოქმნილი ეკონომიების და მერიის სხვა სტრუქტურული ერთეულების მიერ წარმოდგენილი დამატებითი მოთხოვნების შესახებ წინადადებები.

საკრებულოს თავმჯდომარემ გიორგი ტყემალაძემ გაერთიანებულ სხდომაზე განაცხადა, რომ უმოკლეს ვადებში უნდა აისახოს თბილისის ბიუჯეტში მთავრობის განკარგულებით გამოყოფილი 10 მილიონი ლარი, რომელიც სხვადასხვა მნიშვნელოვან პროექტებზე უნდა გადანაწილდეს.

ბიუჯეტის შემოსავლების ზრდისა და მოძიებული რესურსების გათვალისწინებით ასიგნებები სხვადასხვა პროგრამებსა და ქვეპროგრამებზე გადანაწილდა. კერძოდ, გზების მშენებლობის აღდგენა, გზების მოვლა-შეკეთება და კეთილმოწყობის სამუშაოები საბურთალოს რაიონში, მუნიციპალური ტრანსპორტით საქალაქო რეგულირებული სამგზავრო გადაყვანისას უფასო და შეღავათიანი ტარიფით მოსარგებლე პირთა მომსახურება. 2015 წლის 13-14 ივნისის სტიქიის სალიკვიდაციო სამუშაოები.

დღის წესრიგის საკითხებთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს:

ო.გრიგოლიამ, ა.ხუჯაძემ, ლ.დარახველიძემ,ი.ჯიშკარიანმა

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიის წევრებმა წარმოდგენილ პროექტს მხარი დაუჭირეს და დადებითი რეკომენდაცია მისცეს.

ო.გრიგოლიამ სხდომა დახურულად გამოაცხადა

სხდომის თავმჯდომარე ო.გრიგოლია